ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №44 (10185), 27 ოქტომბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

ექვთიმეობა – წლის ბოლო სახალხო დღესასწაული

ალიონი. სახალხო დღესასწაულების ციკლი ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა სოფელ ლიხაურში ყველაზე რეზონანსული ღონისძიებით – ექვთიმეობით დააასრულა.

დღესასწაული ექვთიმე ღვთის კაცის სახლმუზეუმში ერთსაათიანი კონფერენციით დაიწყო, სადაც შეკრებილ საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენეს საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესის, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ქვეყნისა და ერის წინაშე გაწეული ღვაწლის შესახებ. ამას მოჰყვა სოფლის ცენტრში უახლესი ტექნოლოგიით მოწყობილ სცენაზე გამართული გალა კონცერტი, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ, ხალხურ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან („გორდელაძეების ოჯახი“, „რეხვეული“, „ლაზარე“, „ურეკი“, „ზენაარი“) ერთად, მონაწილეობდნენ მომღერალი სოფო ბედია, „ქუჩის მუსიკოსები“ და სხვა ცნობილი ქართველი მსახიობები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ სპეციალური ჯილდოები და სიგელები გადასცა საპატიო ლიხაურელად არჩეულ პედაგოგებს **ნაზი მშვიდობაძესა და მერი სიხარულიძეს,** მექანიზატორ **ზურაბ ურუშაძეს;** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქედ არჩეულ აკადემიკოს **მინდია სალუქვაძეს,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დამსახურებულ მოღვაწედ აღიარებულ ქორეოგრაფ **რევაზ ჭანიშვილს.**

კონცერტის შემდეგ ღონისძიების მონაწილეებმა სახელდახელოდ მოწყობილ მუნიციპალიტეტის ყველა დაბისა და სოფლის პავილიონში დააგემოვნეს შემოდგომის ნობათით დამზადებული კერძები და სასმელები.

ღონისძიება, რომელსაც გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, გუბერნატორის მოადგილეები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ, შთამბეჭდავი ფოიერვერკით დამთავრდა.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ფონდმა „ქართუმ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი საჩუქარი გადასცა

დაბა ურეკში, წვერმაღალას დასახლებაში „ქართუს“ დაფინანსებით ახალი საბავშვო ბაღი აშენდა

25 ბავშვზე გათვლილი თანამედროვე შენობა აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, სპეციალურად ბავშვებზე მორგებული სველი წერტილებით, სამზარეულოთი, ხანძარსაწინააღმდეგო, წყალგამწმენდი და გათბობის სისტემებით. რამდენიმე დღის წინ საბავშვო ბაღმა სრულფასოვანი ფუნქციონირება დაიწყო.

ფონდი „ქართუს" დაკვეთით წვერმაღალას საბავშვო ბაღის მშენებლობა ასოციაცია "ატუ"-მ შეასრულა.

ფონდის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება წვერმაღალაში ბაღის არარსებობის გამო მიიღო. სამუშაოები 2 თვის ვადაში განხორციელდა.

ახალი ბაღის გახსნას ფონდ „ქართუს" ხელმძღვანელი ნიკოლოზ ჩხეტიანი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე დაესწრნენ.

„განხორციელდა ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი. ბაღის არქონის გამო აქაური ბავშვები დაბა ურეკის საბავშვო ბაღით სარგებლობდნენ. ეს არის უახლესი, თანამედროვე სტანდარტების საბაშვო ბაღი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. მშენებლობა რეკორდულად მოკლე დროში დასრულდა. მადლობა მინდა გადავუხადო ფონდ „ქართუს" მხარდაჭერისთვის,"- აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

საბავშვო ბაღის მშენებლობაზე 500 000 ლარი დაიხარჯა.

სოფელ სილაურში გამრიცხველიანება მიმდინარეობს

ს.ს. ენერგო–პრო ჯორჯია აქტიურად განაგრძობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ელექტროგამრიცხველიანებას. სამუშაოები ამჟამად სოფელ სილაურში მიმდინარეობს.

პროექტი ელექტროქსელის სრულ რეაბილიტაციას მოიცავს. სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ძველი ამორტიზირებული ხის ბოძები იცვლება ახალი რკინა–ბეტონის დგარებით, მთლიანად იცვლება მოძველებული მიწისზედა და მიწისქვეშა საკაბელო სისტემები, რემონტდება სატრანსფორმატორო პუნქტები, იჭიმება ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები.

მნიშვნელოვნად უმჯობესდება ქსელის ინფრასტრუქტურა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ს.ს. ენერგო–პრო ჯორჯიას აბონენტების ხარისხიან და სტაბილურ ენერგომომარაგებას.

ნაგომარის, კონჭკათისა და ხვარბეთის მოსახლეობის საყურადღებოდ!

25 ოქტომბრიდან, 31 ოქტომბრის ჩათვლით, რეაბილიტაცია-გამრიცხველიანების სამუშაოებიდან გამომდინარე 10:00 საათიდან 18:00 საათამდე ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეეზღუდებათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებს – ნაგომარს, კონჭკათს, ხვარბეთს.

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“
ოზურგეთის სერვისცენტრი

ქალაქის მერი პასუხობს

რუბრიკის პრემიერა

დღეიდან გაზეთის ყველა მომდევნო ნომერში მკითხველს საშუალება ეძნება, მიიღოს პასუხი ქალაქ ოზურგეთის ხელმძღვანელობისთვის რედაქციაში გამოგზავნილ შეკითხვებზე. რუბრიკის გახსნის პატივი ანასეულელებსა და ექადიელებს ერგოთ, რომლებმაც ორი შეკითხვით მიმართეს ქალაქის მერს ბეგლარ სიორიძეს

კითხვა: **ბატონო ბეგლარ, რამდენადაც ვიცით, ქალაქის ინფრასტრუქტურული პროექტები ითვალისწინებდა მექი ბზიავასა და იმედაშვილის ქუჩების შეკეთებასა და მოასფალტებას. ამ ქუჩებზე ტრანსპორტით გადაადგილება კი არა, ფეხით სიარულიც ჭირს. ბუნებრივია, ზამთარში, რომელიც უკვე კარს მოგვადგა, უფრო უარესი მდგომარეობა იქნება. როდის დაიწყება და დამთავრდება შესაბამისი სამუშაოები?**

პასუხი: - მოგეხსენებათ, რომ ჩვენს მიერ ქალაქ ოზურგეთში უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, მათ შორის პრიორიტეტულია გზების მოასფალტება და რეაბილიტაცია. ცენტრალური უბნების გარდა, რეაბილიტაცია უტარდება ქალაქის გარეუბნების ამორტიზირებულ უბნებს, რაც ეტაპობრივად ხორცილედება. რაც შეეხება ბზიავასა და იმედაშვილის ქუჩების მოასფალტების საკითხს, ჩვენ დაგეგმილი გვქონდა იმედაშვილის ქუჩის კრიტიკულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება, რაზეც ადგილობრივმა მოსახლეობამ უარი განაცხადა. ისინი ქუჩის მთლიანად დაგებას ითხოვდნენ. ვინაიდან სრული გზის რეაბილიტაციისთვის საკმარისი თანხა ბიუჯეტში არ იყო, იმედაშვილის ქუჩის ხსენებული მონაკვეთისთვის გათვალისწინებული თანხა წმინდა გიორგის ქუჩის სრული რეაბილიტაციის დასრულებას მოხმარდა. იმედაშვილის ქუჩის მთელ სიგრძეზე ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება კი, ისე როგორც მოსახლეობას სურდა, მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული.

კითხვა: **როგორც ანასეულელებსა და ექადიელებს შეგვპირდით, წლეულს გვექნებოდა ახალი წყალსადენი და უწყვეტად მივიღებდით სასმელ წყალს. რამდენადაც ვიცით, საპროექტო სამუშაოები დამთავრებულია, შესაბამისი დაფინანსებაც არის მიღებული. რატომ ყოვნდება წყალსადენის მშენებლობა?**

პასუხი: - ანასეულსა და ექადიაზე წყლის სისტემის მასშტაბური რეაბილიტაცია იწყება. პრობლემა, რომელიც აღნიშნული უბნების მაცხოვრებლებს ათეულობით წლების მანძილზე აწუხებდათ, საბოლოოდ გადაიჭრება.

ამ ეტაპზე საპროექტო სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციის მომზადება მიმდინარეობს, რის შემდგომაც დაიწყება წყლის სისტემის კაპიტალური რეაბილიტაცია, შეიცვლება მთავარი მაგისტრალი (3,7კმ), შიდა ქსელი (7,5კმ) და წყალგაყვანილობის სისტემა თითოეულ კორპუსში გამოიცვლება. ასევე, ახალი სატუმბის დამატების შედეგად გაიზრდება წნევა და მოსახლეობა წყალს 24 საათის მანძილზე, გრაფიკის გარეშე მიიღებს. პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. ქალაქის მერია ტენდერს უახლოეს დღეებში გამოაცხადებს.

ირლანდიაში ქართული ჩაის პრეზენტაცია გაიმართა

ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ინიციატივით, ქ. დუბლინში ქართული ჩაის პრეზენტაცია გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქართულმა ჩაის მწარმოებელმა კომპანიამ „**Natura Tea Company**", რომლის წამომადგენლებმაც პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს გააცნეს კომპანიისაექსპორტო პროდუქცია და მისი ნაირსახეობები.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ ირლანდიაში მოქმედი ჩაის იმპორტიორები, სასტუმროებისა დასუპერმარკეტების ქსელების მომმარაგებელი კომპანიების წარმომადგენლები, ასევე, ჩაის მიმართულებით მოღვაწე პროფესიონალები და ჟურნალისტები.

„ირლანდიაში ჩაის მოხმარების კულტურა საუკუნეებს ითვლის, თუმცა, ქართულ ჩაის ნაკლებადიცნობენ, შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ ირლანდიელი ჩაის იმპორტიორებისა და ამ სფეროში მოქმედი პროფესიონალებისათვის ქართული ჩაის საექსპორტო პროდუქცია გაგვეცნო და შეგვეთავაზებინა. მოხარული ვარ, რომ დუბლინში პირველად შედგა ქართული ჩაის პრეზენტაციადა პროდუქციამ ღონისძიებაზე მოწვეული სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა" – განაცხადა ირლანდიაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა.

„**Natura Tea Company**" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. გურიანთაში მდებარეობს.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ნინო წილოსანი: „შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, რომ მზად ვარ პარლამენტის წევრობისთვის!“

„ვისურვებდი, წინასაარჩევნო პერიოდი იდეებისა და ინიციატივების შეჯიბრი იყოს“

ლანჩხუთი-ჩოხატაურის ოლქში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურია. 30 ოქტომბერს მოსახლეობამ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ ნინო წილოსანსა და დამოუკიდებელ კანდიდატ აკაკი ჩხაიძეს შორის უნდა გააკეთოს არჩევანი. ამ დღის მიმართ კონკურენტ კანდიდატებს, მათი გუნდების წარმომადგენლებს და მოსახლეობას განსხვავებული მოლოდინები და ინტერესი აქვთ.

„ჰო და არა“ შეეცადა, პირველი ტურის გამარჯვებულ ნინო წილოსანთან გაერკვია, თუ რა განწყობაა „ქართული ოცნების“ შტაბში და რა შეიცვალა მეორე ტურში მაჟორიტარობის კანდიდატისთვის.

— ქალბატონო ნინო, თქვენ ბოლო მომენტში ჩაერთეთ წინასაარჩევნო კამპანიაში. როგორ შეაფასებთ პირველ ტურს, რა გასწავლათ ამ ერთთვიანმა მარათონმა?

— მე პირველ ტურს მოკლე მანძილზე გარბენს უფრო ვუწოდებდი, ვიდრე — მარათონს, რადგან დრო ნამდვილად ცოტა იყო. მიუხედავად ასეთი მოცემულობისა, ჩემთვის საამაყო შედეგს მივაღწიეთ, რამაც ბევრი გააოცა. ამ წარმატების საიდუმლო კი, ჩემი აზრით, ორი ფაქტორია: გუნდის სიძლიერე და ჩვენი პოლიტიკური ძალის გულწრფელობა. ჩვენი შტაბი, კოორდინატორები, მხარდამჭერები - ყველა ერთსულოვნად და სინქრონულად ვმუშაობდით და ჩვენი მთავარი მიზანი იყო არა - ხმების მოპოვება, არამედ მოსახლეობამდე ჩვენი სათქმელის, ჩვენი გზავნილების სწორად მიტანა.

პირადად მე არჩევნების მიმართ სხვანაირი დამოკიდებულება მქონდა და გამიხარდა, როცა „ქართული ოცნების“ და ჩემი ხედვები ერთმანეთს დაემთხვა - ეს კამპანია არ ემყარებოდა ტყუილ დაპირებებს ან მოქრთამვას. ჩვენ ვსაუბრობდით როგორც გაკეთებულ საქმეებსა და მიღწევებზე, ასევე პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებზე.

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ამომრჩეველს, ვინც დაესწრო ჩვენს შეხვედრებს, ვინც მოგვისმინა და, რაც მთავარია, თავისი გულისტკივილი გაგვიზიარა და კარგი აზრი მოგვაწოდა.

მე თავიდანვე ვაცნობიერებდი, თუ რას ნიშნავს, იყო პარლამენტის წევრი და, მით უმეტეს, წარმოადგენდე ლანჩხუთსა და ჩოხატაურს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სადაც ქვეყნის ბედი წყდება. მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიამ და განსაკუთრებით მოსახლეობასთან შეხვედრებმა კარგი გაკვეთილი მომცა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ახალი გავიგე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩემი არჩევანის სისწორეში.

— ახლა რას აპირებთ, თქვენი კონკურენტისგან განსხვავებულს რას ჰპირდებით ამომრჩეველს?

— მე კონკურენტებს არ ვედრები, მე ჩემი ხედვა და პოზიცია გამაჩნია. განვაგრძობ საარჩევნო კამპანიას. პირველ ტურში მიღწეული შედეგი, მინიმუმ, უნდა გავიმეორო და მჯერა, რომ მეორე ტურში უკეთესი რეზულტატი იქნება. ამასთან, ახლა ჩვენ უფრო მეტ კონკრეტულ პროექტს და ინიციატივას წარვუდგენთ ამომრჩეველს და ეს არ იქნება ზოგადი დაპირებების კამპანია. ახლა მეტ ყურადღებას დავუთმობ ამომრჩევლამდე ჩემი მიზნების უკეთ მიტანას.

ამ ეტაპზე ჩვენ გამოვყავით ოთხი პრიორიტეტული მიმართულება, რომელთა განვითარებაზეც ვიზრუნებ დეპუტატად არჩევის შემდეგ. სოფლის მეურნეობის, განათლების, ინფრასტრუქტურის და ტურიზმის განვითარება, სხვა საკითხებთან ერთად, ის ძირითადი სფეროებია, სადაც კონკრეტული პროექტების განხორციელებას, ჩემს გუნდთან ერთად, მაქსიმალურად შევუწყობ ხელს.

სოფლის მეურნეობის განვითარება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა გადამწყვეტი პირობა იქნება რეგიონის კეთილდღეობისთვის.

ჩვენ ადგილობრივი ფერმერებისთვის შევქმნით სპეციალურ რესურსცენტრს, სადაც გავაცნობთ სიახლეებს და მივაწვდით ინფორმაციას იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ, რომლებითაც ნებისმიერ გლეხს შეუძლია სარგებლობა.

ამასთან, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან“ ერთად, შევქმნით ბიზნესინკუბატორს, სადაც მოვიწვევთ წარმატებულ ბიზნესმენებს, გვექნება გადამზადების და ტრენინგების პროგრამა, რაც ასევე, ძირითადად, ფერმერული მეურნეობის და წვრილი ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს.

განათლების კუთხით მნიშვნელოვანია ალტერნატიული საშუალებებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით ახალი ინფორმაციის მიღების სივრცეების შექმნა, სადაც ადგილობრივი ახალგაზრდები შეძლებენ, დისტანციურად ისწავლონ, გაიარონ პოპულარული ონლაინკურსები და შეძლონ საკუთარი იდეებისა და პროექტების

სხვებისთვის გაზიარება. ამასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო იდეა გვაქვს.

ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავ გამოწვევად რჩება. ჩვენ გავაგრძელებთ გზების მშენებლობას, გაზიფიკაციის ქსელის განვითარებაზე ზრუნვას და სხვა მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია 2017 წლის ბიუჯეტში.

პარლამენტში ლანჩხუთსა და ჩოხატაურს ჩემი სახით ისეთი ხმა ექნება, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ.

ტურიზმის მიმართულებითაც ბევრი სამუშაოა. წინ გვაქვს ბახმაროს რეაბილიტაცია. იგი მსოფლიო დონის, ოთხი სეზონის კურორტად უნდა ვაქციოთ, რაშიც მე აქტიურ მონაწილეობას მივიღებ.

ასევე, გურიის ტერიტორიაზე არსებობს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების შესანიშნავი ძეგლები, რომლებსაც მეტი მოვლა და ერთიან ტურისტულ რუკაზე დატანა სჭირდება. ლანჩხუთი და ჩოხატაური, პირველ რიგში, ქართველ და შემდეგ უკვე უცხოელ ტურისტებს ახალი კუთხით უნდა დავანახოთ.

ეს ჩემი, როგორც პარლამენტარის, საქმიანობის ზოგადი მიმართულებებია. უფრო კონკრეტულ პროგრამას საარჩევნო კამპანიის ბოლო ეტაპზე შემოგთავაზებთ და თქვენც მოგაწვდით, რათა პარლამენტში ყოფნის პერიოდში მაქსიმალურად გამაკონტროლოთ და ხშირად გამახსენოთ ჩემი დაპირებები.

— როგორ ოპონირებას გაუწევთ თქვენს კონკურენტს?

— ვისურვებდი, რომ წინასაარჩევნო პერიოდი იდეებისა და ინიციატივების შეჯიბრი იყოს, თუმცა, სამწუხაროდ, მთლად ასე არ გამოვიდა. ძირითადი ოპონენტები არ ერიდებოდნენ „აკრძალული ილეთების“ გამოყენებას და, ვფიქრობ, ამ მხრივ არც მეორე ტური იქნება გამონაკლისი. თუმცა, პირადად მე პირობას გაძლევთ, რომ ჩემი გუნდი არ აჰყვება მსგავსი სტილის დაპირისპირებას.

ჩვენ მოსახლეობას უნდა ავუხსნათ, რის გაკეთებას ვაპირებთ, ვაგრძნობინოთ ჩვენი დაპირებების გულწრფელობა და დავარწმუნოთ, რომ ჩვენ სასარგებლოდ გააკეთონ არჩევანი. ეს არის მთავარი ამოცანა და კინკლაობაში ნამდვილად არ დავკარგავთ დროს.

ხალხი თვითონ დაინახავს და, დარწმუნებული ვარ, სწორ გადაწყვეტილებასაც მიიღებს. შევეჯიბროთ იდეებითა და პროექტებით. ეს უფრო სამართლიანი იქნება.

პოლიტიკური კინკლაობის დრო აღარ არის, ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ იმუშავებს და რას მოუტანს რეგიონს მათი რჩეული.

— მოსახლეობას ახსოვს გამარჯვებული დეპუტატები, რომლებიც არჩევნების მეორე დღიდან მომდევნო არჩევნებამდე აღარავის უნახავს. თქვენ რას გააკეთებთ არჩევნების მეორე დღეს?

— წინასაარჩევნო პერიოდშივე გავაცნობიერე, რომ არჩევნების მეორე დღეც ისეთივე დაძაბული და საქმიანი იქნება, როგორიც იყო ნებისმიერი დღე კენჭისყრამდე. უკვე ახლა ვემზადები ჩემს გუნდთან ერთად, რათა მყარი გარანტიები მოვიპოვო იმ პროექტების და იდეების ხორცშესასხმელად, რომლებიც წინასაარჩევნო პერიოდში წარვუდგინეთ ლანჩხუთელებსა და ჩოხატაურელებს.

მინდა, აღვნიშნო, რომ ჩემთვის მთავარი აქტივი, მთავარი ღირებულება ხალხია, ვისიც ყველაზე მეტად მეიმედება. ამ პერიოდში ჩემ გარშემო უძლიერესი გუნდი შეიკრიბა — შტაბის წევრები, კოორდინატორები, მხარდამჭერები, რომელთა შორის ბევრი ახალგაზრდაა და მე შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, რომ ამ ხალხთან ერთად, ბოლომდე მზად ვარ პარლამენტის წევრობისთვის.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

არჩილ თალაკვაძე: „ნინო წილოსანი უკეთესი მომავლის ადამიანია“

ინტერვიუ ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატ არჩილ თალაკვაძესთან

— რას გვეტყვით „ქართული ოცნების“ კანდიდატზე ნინო წილოსანზე, რომელიც მეორე ტურში განაგრძობს ბრძოლას. თქვენ თქვით, რომ მასთან მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობა გექნებათ.

— ნინო წილოსანი არის ახალი თაობის ლიდერი, - ქალი წარმატებული საქმიანობის გამოცდილებით და კარგი განათლებით. ადამიანი, რომელიც მისი კონკურენტებივით პარლამენტში კეთილდღეობის და პრივილეგიებისთვის არ მოდის. ის უკვე წარმატებულია და ახლა აქვს ჯანსაღი ამბიცია, რომ ეს წარმატება ლანჩხუთსა და ჩოხატაურს მოუტანოს.

როცა საქმე გურიის განვითარებას ეხება, მე თანამშრომლობა მხოლოდ ნინო წილოსანთან წარმომიდგენია — ის პასუხობს თანამედროვე პოლიტიკის მოთხოვნებს და გამოწვევებს.

— მის კონკურენტ კაკო ჩხაიძეზეც გვითხარით თქვენი მოსაზრება...

— დღეს საზოგადოების დაკვეთა არის მომავლის ლიდერები და თანამედროვე ხელისუფლება — ეს დადასტურდა კიდეც პირველ ტურში. დრო, როდესაც ბატონი კაკო საქმეს აკეთებდა, უნდა გვახსოვდეს და პატივი უნდა ვცეთ წარსულს, თუმცა საქმის გაკეთება დღეს და ხვალ შეუძლიათ ნინო წილოსანს და მისნაირ ადამიანებს — ხალხს ყველაზე მეტად ახლა სჭირდება პასუხები აწმყოსა და მომავალზე. ნინო არის უკეთესი მომავლის ადამიანი. ბატონ კაკოს აქვს გამოცდილება, თუმცა ეს გამოცდილება მთლიანად კარგი არ არის და ეს საზოგადოებას კარგად ახსოვს.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა გუნდმა გაზარდა ამ არჩევნებში ქალთა მონაწილეობა და როლი პოლიტიკაში და ნინოს თავის ოლქში ქალი ამომრჩევლების დიდი მხარდაჭერაც აქვს.

— ამბობენ რომ „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორებმა აკაკი ჩხაიძის მხადაჭერის დავალება მიიღეს. იმასაც ამბობენ, რომ ახლახანს ოზურგეთში იმყოფებოდა მიხეილ მაჭავარიანი, რომელმაც ჩხაიძესთან მოლაპარაკება გამართაო. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ცხადია, ეს მხოლოდ მეტ შეკითხვებს აჩენს კაკო ჩხაიძის კანდიდატურის მიმართ. თუ ის მზად არის, შეიცვალოს ერთ კვირაში და თავისი საქმიანობა დაუკავშიროს ძალას, რომელსაც წინა პერიოდში ემიჯნებოდა, ეს რიგით ამომრჩეველს უჩენს უნდობლობას, რამდენად პრინციპული ადამიანია და მომავალში კიდევ რამდენჯერ შეცვლის პოზიციებს საკუთარი მიზნის მისაღწევად. ნაციონალური მოძრაობის ლიდერები შეიძლება მას რამეს ჰპირდებიან, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის ადამიანები არიან, ვინც მთელი მოსახლეობის მოტყუებას ცდილობდნენ და ბატონ კაკოს რატომ ვერ მოატყუებენ...

თან რა მხარდაჭერას ჰპირდებიან, როცა თავად ლანჩხუთსა და ჩოხატაურში მეორე ტურშიც ვერ გავიდნენ, ოზურგეთში კი პირველივე ტურში დამარცხდნენ?

— პირველი სამი საკითხი, რომელთა ინიცირებასაც პარლამენტში აპირებთ...

— სწორედ ამაზე მუშაობს უკვე ჩვენი გუნდი - ჩვენი პირველი ინიციატივები, მაღალი ალბათობით, ეფექტური მთავრობის ფორმირებას, ეკონომიკურ რეფორმებს, განათლების სისტემას და სივრცით მოწყობას დაუკავშირდება.

— როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის განსახორციელებლად 4 წელი გეყოფათ?

— გასულ 4 წელიწადში ჩვენ შევძელით, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სფეროში მოსახლეობისთვის აუცილებელი პირობები შეგვექმნა; შევძელით, დაგვეცვა საკუთრების უფლება და მეწარმეთა ინტერესები; შევძელით ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფა. შემდეგი 4 წელი ყოველი დღე დაეთმობა ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და სამუშაო ადგილების შექმნას. არის თუ არა საკმარისი დრო? ამ შეკითხვას ჩვენ ვუპასუხებთ საკმარისი წარმატებით.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სტუდენტებს შეხვდა

23 ოქტომბერს, მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნინო წილოსანი საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში სტუდენტებს შეხვდა.შეხვედრა დიალოგის რეჟიმში წარიმართა. ნინო წილოსანი 30 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურში იღებს მონაწილეობას.

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი ახალგაზრდებს გურიის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე და ამ მიმართულებით საკუთარ ხედვაზე ესაუბრა.

შეხვედრის დროს მან აქცენტი გააკეთა ახალგაზრდულ საკითხებზე. არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის ბევრი საინტერესო პროექტის განხორციელებას გეგმავს. პირველ რიგში მისთვის მიშვნელოვანია ახალგაზრდების რეგიონში დაბრუნების საკითხი, რადგან ხშირ შემთხვევაში ისინი სწავლის დასრულების შემდეგ რჩებიან დედაქალაქში. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აპირებს ორასი ათასი სამუშაო ადგილის შექმნას, აქედან ნაწილი გურიაზე გადანაწილდება. სწორედ ეს შეუწყობს ხელს ახალგაზრდების დასაქმებას, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობებში მათ თანამონაწილეობას.

ნინო წილოსანი იმედოვნებს, რომ ახალგაზრდები 30 ოქტომბერს მივლენ თავიანთ საარჩევნო უბნებზე და დააფიქსირებენ საკუთარ არჩევანს.

გიორგი ასათიანი

ქეთევან დუმბაძე: რატომ ვირჩევ ნინო წილოსანს?

„დარწმუნებული რომ არ ვიყო ნინო წილოსანის კეთილსინდისიერებასა და განათლებაში, მე მას გვერდში არ დავუდგებოდი, რადგან, პირველ რიგში, მამაჩემის - ნოდარ დუმბაძის სახელს ვცემ პატივს და გურულებთან არ ჩამოვიდოდი, მე რომ ამ კანდიდატის ასეთი იმედი არ მქონდეს. მე ამ წუთასაც გურიაში ვარ, დღეში 5-6 სოფელში ჩავდივართ და ყველგან ვხედავ, ნინოს მიმართ ხალხის კეთილგანწყობაა. რა თქმა უნდა, გურულები ახალი დეპუტატისგან ბევრს მოელიან და იმის რწმენაც აქვთ, რომ ის ყველა დანაპირებს შეასრულებს. იცით, „ქართული ოცნების“ არცერთი დეპუტატობის კანდიდატი არ კადრულობს ხალხისთვის ზედმეტი დაპირების მიცემას, აბსოლუტურ სიმართლეზეა აგებული მათი ყოველი სიტყვა და გამარჯვების შემდეგ ეს ყველაფერი თვალნათელი იქნება. ნინოს სახით მოდის ახალი ენერგია, ახალგაზრდა ძალა უკეთესი საქართველოს საშენებლად, იმ საქართველოსი, რომელში ცხოვრებასაც თითოეული ჩვენგანი ინატრებდა. ნინო აუცილებლად უნდა იყოს პარლამენტში, რადგან მას აქვს უნარი, ცოდნა და გამოცდილება, ბევრი კარგი საქმე აკეთოს.“

ქეთევან დუმბაძე

„შევარდენის კვალი“– როგორ მოხვდა, მთისპირელი ენვერ ნიკოლაიშვილი ინდიელებზე გადაღებულ ფილმში

ენვერ (ალექსი) ნიკოლაიშვილი –ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში (დაბლა ვანისქედი, ნიკოლაიშვილების უბანი) დაიბადა. დაამთავრა სოფელ ნაგომრის საშუალო სკოლა, შემდეგ – ინსტიტუტი.

მამა – ტიხო ნიკოლაიშვილი კარგი მეურნე და ცხენოსანი იყო. ცხენის სიყვარული შვილებსაც დაურჩა. გარეგნობამ და მხედრულმა ნიჭმა ენვერ ნიკოლაიშვილი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“



მიიყვანა. იგი იგონებს:

– კინოსტუდია „ქართული ფილმი“ თბილისში, მაშინდელ პლეხანოვზე იყო. ახალგაზრდების ჯგუფი ქუჩაში ვიდექით და ვსაუბრობდით.

გამოიარა გიორგი შენგელაიამ. კარგი მსახიობი რომ იყო ვიცოდი, მაგრამ რეჟისორი თუ იყო - არა.

– ბიჭებო, ცხენზე ჯდომა იცით?– შეგვეკითხა.

– ცხენზე არ დავბადებულვარ, თორემ ისე როგორ არ ვიცი,– ვუპასუხე.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ხვალ, კინოსტუდიაში „მაცი ხვიტიას“ გადამღებ ჯგუფთან მოხვალო – მითხრა.

მე იმ პერიოდში ცნობილ №31 ქარხანაში ვმუშაობდი. სამსახურში მოკლე შვებულება ავიღე და კინოსტუდიაში მივედი. გიორგი შენგელაიამ ამხედ-დამხედა, სახელდახელოდ წვერი დამაკრეს და ფოტოები გადამიღეს. ფოტოგადაღებას რომ მორჩნენ, მირჩიეს წვერი მომეშვა და კინოსტუდიის საცხენოსნო ბაზის მწვრთნელ თემო ჩაჩავას დაავალეს ჩემი მხედრული ნიჭის შემოწმება.

ეს კლუბი ერთი წლის (1965 წ.) შექმნილი იყო. კარგი მხედარი ვიყავი და პირდაპირ ჩამსვეს ფილმში ეპიზოდურ როლებში ცხენოსნად. ძირითად სამუშაოებს მასიურ სცენებში ჩვენ ვასრულებდით. ამას მოჰყვა ფილმები „ლონდრე,“ „შეხვედრა მთაში,“ „არაჩვეულებრივი გამოფენა.“(აქ ცხენოსანი არ ვარ, ეპიზოდურ როლს ვასრულებ), და ა.შ.

თბილისში აღმოსავლეთ გერმანიის კინოსტუდია „დეფა“-ს გადამღები ჯგუფი ჩამოვიდა. 60-70-იან წლებში, ეს კინოსტუდია იღებდა სათავგადასავლო ფილმებს ინდიელებზე, ექს ოუგოსლაველი ვარსკვლავის გოიკო მიტიჩის მონაწილეობით: ამ ფილმების მიხედვით, სიკვდილის საფრთხის წინაშე მყოფ ინდიელებს მხსნელად უსათუოდ თეთრკანიანი დამცველი გამოუჩნდებოდა ხოლმე. ამჯერად მათ მხატვრული ფილმი შევარდენის კვალი“ ისევ ინდიელებზე, „უნდა გადაეღოთ. ჩეხი კინოხელოვანების მიერ გადაღებული ქართულ-ჩეხური კინოსტუდიების ერთობლივი ფილმის, „შეწყვეტილი სიმღერა“ შემდეგ, ეს მეორე პრეცენდენტი იყო, როცა საქართველოში უცხოური კინოსტუდია იღებდა ფილმს. ამ ფილმის დიდი ნაწილი საქართველოში, კერძოდ, ხევსურეთში, ხევში (ყაზბეგის რაიონი), მთიულეთში (ფასანური, ქვეშეთი) და სოფელ დიღმის მიდამოებში გადაიღეს.

ფილმში, გოიკო მიტიჩის გარდა, საქართველოდან არაერთი სახელოვანი მსახიობი იყო დაკავებული: ოთარ კობერიძე, კობა ქობულაშვილი, ახალგაზრდა ლეილა მესხი და სხვები. მე დუბლიორი ვიყავი. მაშინ კასკადიორს არ უწოდებდნენ დუბლიორს, თორემ ურთულესი ტრიუკები უნდა შეგვესრულებინა.

75-კაციანი გადამღები ჯგუფი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში დაბანაკდა. ფილმის მთავარი რეჟისორი ბოტფრიდ კოლდიცი იყო.4 თუ 5 თვე მიმდინარეობდა გადაღებები. ჩემმა მხედრულმა ნიჭმა გოიკოსთან დამაახლოვა. ფილმის გადაღების ხარისხზე კარგად აისახა ჩეხი მილანის (გვარი არ მახსოვს) შრომა. იგი ბრატისლავას სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრის გამგე იყო -კულტურიზმის სპეციალისტი. საოცარ ვარჯიშებს ატარებდა.

რეჟისორს და საერთოდ „დეფას“ კინოსტუდიის წარმომადგენლებს ძალიან მოეწონათ ჩვენი მთის ბუნება. მათ ფილმი „შეხვედრა მთაში“ ჰქონდათ ნანახი და ძალიან მოსწონდათ ხევსურეთი. ერთ-ერთი გადაღებისას როშკის ჩანჩქერთან ცხენიდან ქართველი მსახიობი ლეილა მესხი გადმოვარდა და დაშავდა. შემდეგ იყო ასეთი სცენა: ცხენზე მჯდომი გოიკო ლასოს ესვრის მეორე ცხენს, ვერ ამგრებს მუშები ცხენს და გოიკო კისრისტეხით ვარდება ცხენიდან. ძალიან რთული ნომრების შესრულება გვიწევდა ცხენოსნებს...

ამ გადაღებებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა თუ რაოდენ ლამაზია ჩვენი ქვეყნის ბუნება, ხოლო უცხოელებს, გარდა ბუნებისა – ქართული სტუმართმოყვარეობა. ფილმმა პოპულარობა მოგვიტანა და ერთგვარი მეგობრობის ხიდი გაიდო ჩვენსა და გერმანელებს შორის. ძალიან დასამახსოვრებელი წლები იყო...

– ამის შემდეგ თქვენ კიდევ რამდენიმე ფილმში გადაგიღეს...

– ამას მოჰყვა „დიდოსტატის მარჯვენა,“ „წყალდიდობა.“

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ქართული თეატრისა და კინოს მთელი კოჰორტა იყო დაკავებული: რეჟისორები ვახტანგ ტაბლიაშვილი და დევი აბაშიძე; მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, აკაკი ვასაძე, ვასო გოძიაშვილი, სპარტაკ ბაღაშვილი, ოთარ მეღინეთუხუცესი, თენგიზ არჩვაძე, ლიანა ასათიანი, ლეილა აბაშიძე, ლალი ბადურაშვილი, დოდო აბაშიძე, გოგი გელოვანი, .. კოტე დაუშვილი, ზურაბ ქაფიანიძე... ფილმის გადასაღებ მოედანზე ხშირად მოდიოდა ბატონი კონსტანტინე გამსახურდია.

მე ამ ფილმში ეპიზოდურ როლს ვასრულებდი, მაგრამ გადასაღებ მოედანზე თითქმის ყველა დღე მიწევდა ყოფნა.

ფილმში შორენას როლს მსახიობი ლალი ბადურაშვილი ასრულებდა. ერთ-ერთ ეპიზოდში შორენა ვეფხვებთანაა და ვეფხვი ახტება მკერდზე. დუბლიორი ვერ გამოიყენეს. მე-4 თუ მე-5 დუბლი იყო, ვეფხვი ლალის წინ ორ ფეხზე აღიმართა... ხალხმა ამოიგმინა.

წყალიო,– დაიძახეს.

საბედნიეროდ წყალი შემკრთალმა შორენა-ლალიმ დალია მხოლოდ.

ეს ფილმი 1970 წელს გამოვიდა ეკრანზე...

– რატომ ჩამოსცილდით „ქართულ ფილმს?“

– დავოჯახდი და უფრო მყარი შემოსავლის წყაროზე უნდა მეფიქრა. 1971 წელს „ტრანსგაზში“ დავიწყე მუშაობა, 1998 წლიდან გაზის ტრანსპორტირების კომპანიაში ვარ. 45 წელია ამ სისტემაში ვმუშაობ. ამჟამად ამ კომპანიაში საგურამოს ფილიალის მთავარი დისპეტჩერი ვარ.

– თქვენ აფხაზეთში იბრძოდით...

– პირველად ცხინვალში მომიწია შესვლა. ჩემი ძმისშვილი, სოსო ნიკოლაიშვილი ოზურგეთიდან სხვა პოლიციელებთან ერთად ცხინვალში იყო. ძმამ დამირეკა – ნახე, როგორ არის ჩემი



შვილიო. ჩავაკითხე. მის მეგობრებთან ერთად პურს ვჭამდით, სროლა რომ ატყდა. ბოევიკები დაგვესხენ თავს. პირველად იქ ვიყნოსე დენთის სუნი. სოსო იქ კი გადარჩა, მაგრამ 3 წლის შემდეგ სოფელ ბაღდადთან, კრიმინალებთან შეტაკებისას დაიღუპა...

აფხაზეთშიც ძმისშვილთან ზურაბთან და დისშვილთან სერგო მყავანაძესთან (აცხონოს სერგო უფალმა) ერთად ვიბრძოდი. ფრონტზე 1992 წლის 3 ოქტომბერს წავედი, ერთი კვირის შემდეგ დამჭრეს და საავადმყოფოში აღმოვჩნდი. გამოჯანმრთელების შემდეგ ოჩამჩირის 23-ე ბრიგადას დავუბრუნდი.

ომზე რა უნდა მოგიყვეთ. 1993 წლის 10 ივლისს ტამიშთან დესანტი გადმოსხეს და ეს ბრძოლა მოვიგეთ. იქ ფეხებში დამჭრეს, მაგრამ საველე ჰოსპიტალში ვიმკურნალე და ბოლომდე ფრონტზე ვიყავით. სოხუმის დაცემის შემდეგ, საკენის ცნობილი უღელტეხილით გადმოვედით სვანეთში. მოვდიოდით დამარცხებული მებრძოლები, საკუთარი ეზო-კარიდან აყრილი ძირძველი მოსახლეობა. ძნელი გასახსენებელია...

შემდეგ კვლავ მომიწია სვანეთში ჩასვლა. ლენტეხის გზით ჰუმანიტარული ტვირთი ჩავიტანეთ მესტიაში.

– თქვენი ცხენოსნობა შემდეგ არ დაგჭირვებიათ..

ENVER NIKOLAISHVILI, LAMARA CHINCHALADZE

– 1994 წლის 26 მაისს პარადის გახსნაზე თეთრი ჩოხითა და წაბლა ცხენით გამოვედი. ცალ ხელში საქართველოს დროშა მეკავა...მაშინ ჯერ კიდევ გვჯეროდა, აფხაზეთის დაბრუნება მოკლე დროში იყო შესაძლებელი....

- თქვენი მეუღლე რეპრესირებული ოჯახიდანაა....

–მეუღლე, ლამარა ჩინჩალაძე, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი წლების განმავლობაში ასწავლიდა საქართველოს სამხედრო აკადემიაში. წინა ხელისუფლების „ყურადღების“ ქვეშ აღმოჩნდა და მათთვის „მიუღებელ“ სხვა ლექტორებთან ერთად სასწავლებელი დატოვა. მისი მამა სიმონ ჩინჩალაძე 1922 წლიდან იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და შემთხვევით გადაურჩა დახვრეტას 1924 წელს შორაპანთან. სიმონმა 30 წელი გაატარა პატიმრობაში. (მეტეხის, ბუტირსკის, კრასნოიარსკის, ენისეისკის, აჩინსკის, კენგირის ციხეები). საქართველოში დაბრუნებულმა დაწერა მემუარების მრავალტომეული, რომლის შემოკლებული ვარიანტი „ეკლიანი გზის“ ჩანაწერები (1924-1956 წლები) 2004 წელს გამოიცა. (ჩემმა მეუღლემ მოამზადა გამოსაცემად).

მყავს ორი შვილი შორენა და ირინა და სამი შვილიშვილი – ლექსო, ანდრია, ნიკოლოზი. უფროსი ქალიშვილი შორენა ლექსოსთან ერთად ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია.

წელს დაბადებიდან 70 წელი შემისრულდა. რა თქმა უნდა, ვიხსენებ ჩემს მეგობრებს, იმ ძვირფას ადამიანებს, რომლებიც კინოსტუდიაში მუშაობის დროს გავიცანი. გიოკო მიტიჩზეც ვგებულობ ხოლმე, მაგრამ მაინც უმეტესად დაღუპულ ფრონტელ მეგობრებს ვიხსენებ, ვინც იმ ჯოჯოხეთს გადაურჩა, ენახულობ...ომმა ჩემი სხვა მოგონებები თითქმის გადაფარა..

– და მაინც, რას უსურვებდით მომავალ თაობას..

- ჩვენ ძალიან რთული 9-წლიანი მმართველობის უღელი გადავიტანეთ. ამ წლებმა ბევრი ცუდი მოგვიტანა. ახალგაზრდებს მინდა სამშობლოს სიყვარული ვუსურვო. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და უნდა ოფიქრონ როგორ შეინარჩუნონ იდენტობა, რომელიც დიდმა ილიამ ასე ჩამოაყალიბა: „მამული, ენა, სარწმუნოება!“-ამის ერთგული უნდა დარჩნენ. ეს არ ნიშნავს იმას, დასავლური ღირებულებები არ გაითვალისწინონ, მაგრამ ამოსავალი ილიას განსაზღვრება უნდა იყოს.

ნუგზარ ასათიანი

მიწავაშლა და მისი მნიშვნელობა მოსალეობისათვის

მსოფლიოში ჩამოყალიბდა „სუპერპროდუქტის“ ცნება. ასე უწოდებენ განვითარებული თვისებების და კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტებს. ერთ-ერთი მათგანია მიწავაშლა.

მიწავაშლა (ტოპინამბური) წარმოადგენს მზესუმზირას მონათესავე, 2-4 მეტრამდე სიმაღლის მცენარეს, რომელიც, კარტოფილის მსგავსად იკეთებს ბოლქვებს. ერთსა და იმავე ადგილზე მისი მოყვანა შეიძლება 8-9 წლის განმავლობაში. აგროტექნიკა ისეთივეა, როგორც კარტოფილისა. ბოლქვების მოსავლის ამოღება ხდება შემოდგომაზე, პირველი ყინვების დაწყებისას. ყინვაგამძლეა. ზამთარში შეიძლება მიწაშიც დავტოვოთ და ადრე გაზაფხულზე ამოვიღოთ.

მიწავაშლას მრავალფეროვანი პროდუქტები მიეწოდება ამერიკისა და ევროპის მოსახლეობას. ამერიკაში, ევროპასა და რუსეთში დაიწყო სამრეწველო მიზნით მიწავაშლას პლანტაციების მოშენება. საქართველოში მიწავაშლას უმნიშვნელო რაოდენობით მოჰყავთ მოყვარულ ფერმერებს.

მიწავაშლა სულ უფრო მეტ გამოყენებას პოვებს, როგორც დიეტური საკვები. გი პრაქტიკულად ენაცვლება კარტოფილს. ათასობით კერძის რეცეპტია შემუშავებული მიწავაშლას გამოყენებით. მისგან ამზადებენ სიროფს, კრისტალურ ფრუქტოზას, საკვებ საფუარს და სხვა. გამშრალი მიწავაშლას ფქვილი გამოიყენება პურის, მაკარონის და საკონდიტრო წარმოებაში, როგორც ბილოგიურად აქტიური დანამატი. მიწავაშლას გამოყენება სულ უფრო პოპულარული ხდება ჯანმრთელობის სფეროში. ის წარმოდგენს პოლისაქარიდ ინულინის მდიდარ წყაროს. ორგანიზმში მისი დაშლის შედეგად წარმოიქმნება ფრუქტოზა, რაც განსაკუთრებით საჭიროა დიაბეტით დაავადებულთათვის. მას გამოიყენებენ წონის დაკლებისას, ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად, კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ჰიპერტონიის, პოლიართრიტის დაავადებისას. ამცირებს

გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს. ორგანიზმიდან გამოაქვს ტოქსინები, მარილები და რადიონუკლეიდები, ეწინააღმდეგება ონკოლოგიური დაავადებების განვითარებას, ხელს უწყობს ვიტამინების ათვისებას. მიწავაშლას ღერო და ფოთლები სახსრების დაავადების საწინააღმდეგო საშუალებაა. დღეს მსოფლიოში მიწავაშლას გამოყენებით ასობით დასახელების სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალება მზადდება.

მიწავაშლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის განვითარების საქმეში. თუ სიმინდის მასის ყოველი საკვები ერთეული შეიცავს 50-60 გრამ პროტეინს, მიწავაშლას შესაბამისი ერთეულია 120-150 გრამი. ის იოლად დასასილოსებელ მცენარეებს მიეკუთვნება. გათვლილია, რომ მიწავაშლას 20 ტონა ბოლქვებისა და 50 ტონა მწვანე მასის მოსავალი უზრუნველყოფს ერთი ჰექტარიდან 19 ცენტნერი საფუარის ცილის მიღებას. ასეთივე რაოდენობის ცილა შეიძლება მივიღოთ 5-6 ჰექტარი მაღალი მოსავლის შვრიიდან.

ფრანგი მეცნიერების მრავალწლიანი ცდები მოწმობს იმას, რომ მერძეული საქონლის რაციონში მიწავაშლას ბოლქვებით შეიძლება შევცვალოთ საკვები ჭარხალი. 15 კგ მიწავაშლას ნარევი ღირებულებით აღემატება 45 კგ ჭარხალს.

პირუტყვი, მიწავაშლათი გამოკვების დროს, 2-3 ლიტრით მეტ რძეს იძლევა დღეღამეში.

მიწავაშლას უხვი მოსავლიანობის დროს ისე ვერ ამოიღებ ტუბერებს, რომ მიწაში არ დარჩეს იმდენი სათესლე მასალა, რაც უზრუნველყოფს საკმაოზე მეტი სიხშირის აღმონაცენს, ეს წლების განმავლობაში გრძელდება. მოსავლიანობით კი მას ვერ შეედრება ვერც ერთი ბოსტნეული კოლტურა.

ოზურგეთში დავაარსეთ ამხანაგობა „აგუნა“, რომელშიც გაერთიანებულია გურამ ცერცვაძე, ანზორ ბურჭულაძე, ნოდარ თოიძე, გურამ ღლონტი. შევიძინეთ სათესლე მასალა (კგ 3-3 ლარად) და დავთესეთ საცდელად სოფელ ოზურგეთში, იჯარით აღებულ მიწაზე. ექვსი პენსიონერის ოჯახზე საჩუქრად გავეცით ასევე მცირე რაოდენობით სათესლე მასალა. ველოდებით შედეგს, რომ შემდგომ მას მივცეთ კომერციული სახე.

გურამ ცერცვაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი;
ანზორ ბურჭულაძე,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიური
დოქტორი.

სკანვორდი





№ 43-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე: ბესარიონ გაბაშვილი; ქალის სახელი — ელენე; ძველი ინდური ფილმი — ავარა; ბაქტერია — ჩხირი; თხა მოფერებით — ბეკეკა; მუნიციპალიტეტი სამტრედიასთან ახლოს — აბაშა; ფრანგული დუქანი —კაბარე; გიგანტური ყინული — აისბერგი; დენის ტრანსპორტი — ტროლეიბუსი; ქალაქი პოლონეთში — ვროცლავი; ცეცხლსასროლი იარაღი — რევოლვერი; უკრაინის პრემიერი — იაცენიუკი; აღდგენა, განახლება — რესტავრაცია; მავთული — სინა; წყლის ცხოველი — კუ; მალარია — ციება; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში — აცანა; თვითმკვლელობა იაპონურად — ხარაკირი; მოწონების შემახილი თეატრში — ბრავო; მუსიკალური ინსტრუმენტი — გიტარა; თმის ლენტი — ბანტი; ნინო მოფერებით — ნი; კოშკი პარიზში — ეიფელი; სარგავი მასალა — ნერგი; ... ხაინდრავა — ოვლიანე; თვითმფრინავის ან გემის ფანჯარა — ილუმინატორი; ძველი, ამორტიზებული ავტომობილი — ჯაბახანა; ადვილი — იოლი; დაღესტნელი დიდებული — ნოინი; გადაგვარება — დეგრადაცია; კოჭებიანი სათამაშო — ლოტო; პირველი მერცხალის პერსონაჟი — იასონი.

შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე, ოზურგეთის ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ №31-33,36-39, 41-43. 2016 წელი

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



გავიხსენოთ როზენის წინამდებარე განაცხადის ფონზე, 1809 წელს გურიის მთავრის მამია მეხუთის მიერ კავკასიის მთავარმართებლის, გენერალ ალექსანდრე პეტრეს ძე ტორმასოვისადმი მიცემული „საშვილიშვილო ფიცითი აღთქმა“: „თუ ჩვენს ტყეებში აღმოჩნდება ისეთი ხეები, რომლებიც ივარგებს ხომალდების გასაკეთებლად, მაშინ არც მე და არც ჩემს შთამომავლობას არ გვექნება ნება ამაში ფული ვითხოვოთ... მასალას ჩვენი ხალხი შავი ზღვის ნაპირას (თვითვე) მოგიტანთ“.

დადგა შესაბამისი დროჟამიც. დაიწყო გურიის მხარის „ოზურგეთის ქვეყნის“ ხე-ტყის საექსპორტო ოპერაციები. გურიის მოსახლეობა, რომელსაც არავინ ეკითხებოდა საკუთარი საარაკო სიმდიდრის ხელყოფას, ასევე როგორც დღეს მაშინაც მშვიდად შემყურე აღმოჩნდა ამ საშინელების მიმართ.

ბარონი როზენი განაგრძობდა გურიიდან საზღვარგარეთ ხე-ტყის გატანის აკრძალვითი ღონისძიებების გატარებას. სიტუაციიდან გამოსვლის ძიების მიზნით, მან იმპერიის ფინანსთა მინისტრს ბარონ კანკრინს მიმართა, სადაც გარკვევით მიუთითებდა მაჭუტაძე-ებრაელიძისა და ბაზო-მარს შორის დადებული კონტრაქტის გაუქმების აუცილებლობაზე საბაჟო წესდებაში სპეციალური მუხლების შეტანით. როზენის გულმოდგინებამ სათანადო შედეგი გამოიღო. საქმეში თვით ყოვლისშემძლე იმპერატორი ჩაერია. მისი ჩარევის შედეგად გურიიდან მუხის ხეების გატანა აიკრძალა.

იმპერატორის განკარგულებით, ინგლისისა და სარდინიის ქვეშევრდომებთან: იაკობ მენტაღი მართან და პავლე ბიზოსთან აზნაურ ებრალიძის და თავად მაჭუტაძის ხელშეკრულება „ოზურგეთის ქვეყნიდან“ მუხის ექსპორტის თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შედგარიყო, თუ ფორმალური მუხლები სათანადოდ დაცული იქნებოდა შესაბამის კონტრაქტში. მხარეებმა საჭირო საბუთები ვერ წარმოადგინეს და მთავრობამაც მათ მხოლოდ ბედ აღებული ფულის შესაბამისი საფასურის ხე-ტყის მოჭრის ნებართვა მისცა. 1842 წლიდან გურიიდან კაკლის ხის გატანაც აიკრძალა. საზღვარგარეთ რუსული პორტები ამ მხრივ შეუვალნი იყვნენ.

1847 წლის მაისში კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარე, სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი კავკასიის მეფისნაცვალს, გრაფ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს აუწყებდა, რომ ვორონცოვის წარდგინების საფუძველზე ხელმწიფე-იმპერატორმა ბრძანა:

1. გურიიდან (შეკვეთილის) ნიკოლოზის პორტიდან კაკლის ხის რუსეთის შინაგან პორტებში გატანაზე დაწესდეს საფასური ერთ ფუთ კაკლის ხეზე 2,5 კაპიკი... აღნიშნული ფული მოხმარდეს ოზურგეთიდან წმინდა ნიკოლოზის სიმაგრემდე გზის გაყვანას და შეკეთებას926.

1851 წლის მონაცემებით „ოზურგეთის ქვეყნის“ ნავსადგურიდან, შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის პორტიდან რუსეთის პორტებში გატანილი იქნა კაკლის ხე ფუთობით:

1848 წელს – 92 252 ფუთი;
1849 წელს – 128 369 ფუთი;
1850 წელს – 23 756 ფუთი;
ბზის ხეები:
1848 წელს – 5350 ფუთი;
1849 წელს – 1300 ფუთი
1850 წელს – 84 400 ფუთი;
1851 წელს – 75 725 ფუთი.

შეკვეთილის პორტის საშუალებით ოზურგეთის ზღვისპირეთიდან ქვეყნის მთისპირეთშიაც გადაინაცვლეს ტყეთა მკაფავებმა. „მადა ჭამაში მოდიოდა“ თანდათანობით. სუფსა-მოგროსის, ისის-ნატანების მიდამოები იქცა ხე-ტყეზე მადა აღძრულ უცხოელთა ძირითადი აგრესიის საგანი. ამ მხრივ განსაკუთრებით ინგლისელები აქტიურობდნენ.

1902 წელს სურებსა და ზემო გურიის მიდამოებს ინგლისელი კონცესიონერი ელიოტ სკოტი ესტუმრა. იგი მოიხიბლა ზემო გურიის ტყით, განსაკუთრებით სურების ბუნებითა და მისი უღრანი ტყეებით და გუნებაში მისი შესყიდვა განიზრახა.

გამოცდილმა ინგლისელმა მალე განაზრახი სინამდვილედ აქცია. ელიოტი მივიდა სოფელ სურებში და ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით მოიწვია სურების ტყის მფლობელები – თომა, ივანე და დათა ერისთავები. ალექსანდრე, დიმიტრი, იესე და რაფიელ შარაშიძეები. აგრეთვე რამდენიმე კაცი ბიბინეიშვილებიდან, რომელთაც ეკუთვნოდათ ტყის ნაწილი და გამართა მათთან თათბირი და მოლაპარაკება, მათ მფლობელობაში მყოფ ტყეთა შესყიდვის შესახებ.

ტყის მფლობელები დასთანხმდნენ სურების ტყე მიესყიდათ ელიოტ სკოტისათვის. შეთანხმების მიხედვით ტყის მეპატრონეებმა თითოეულმა მიიღო 500 მანეთი ოქროთი. (დაახლოებით 6000 მანეთი ოქროთი), ხოლო დანარჩენ თანხას მიიღებდნენ შემდეგ, როცა სრულყოფილად გაიშლებოდა მუშაობა ტყის ექსპლოატაციისათვის.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელიოტი ბათუმს დაბრუნდა, ხოლო ადგილზე, სამუშაოთა ხელმძღვანელად დატოვა თანაშემწენი, მათგან ცნობილია ჟორჟი და იუნგი, რომლებიც ცუდად ფლობდნენ ქართულ ენას. ჟორჟ ტარსეიმ რაფიელ შარაშიძის დახმარებით დიდძალი გლეხები ჩააბა მუშობაში... დიდი რაოდენობით იქნა დამზადებული: ნაძვი, ფიჭვი, და ცაცხვი. დამზადებული მასალების ჩასატანად მდინარე სუფსის ნაპირას დააწყვეს ხის ღარები და მასზედ დაუზიანებლად აცურებდნენ ხის მრგვალ მორებს.

დაბა ჩოხატაურში მასალა მდინარე სუფსით უნდა ჩამოეტანათ. ხოლო აქედან ბათუმის ნავსადგურში. ამის გამო აუცილებელი გახდა მდინარე სუფსის კალაპოტის გაწმენდა ქვა-ღორღებისაგან. ამ სამუშაოზე ყოველდღიურად 300-ზე მეტი გლეხი მუშაობდა.

მოახლოვდა 1905 წელი. გურია თავგანწირვით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. გაიფიცნენ ელიოტის მიერ დაქირავებული გლეხებიც. ისინი ხელფასის გადიდებას და სამუშაო დღის 8 საათამდე შემცირებას მოითხოვდნენ. მთელი საქართველო მოიცვა მუშათა მოძრაობებმა.

ყოველივე ამის გამო ელიოტი თავისი თანაშემწეებით დაშინდა... (დაშინებულებმა) მიატოვეს სამუშაოები. გაიქცა ბათუმიდან და აღარ დაბრუნებულა. ტყის მეპატრონეებმა კი მიითვისეს დამზადებული ტყის მასალა.

ასე უკუიქცა რევოლუციური მოძრაობის მოძალების ჟამს გურიიდან ელიოტ სკოტი, გურიაში კი დატოვა: გაჩეხილი ტყე, მუშებისათვის ტყეშივე აგებული სახლი, რამდენიმე ათასი მანეთი ოქროთი და სახელი ელიოტი, რომელსაც სიმდიდრის ეშხით არქმევდნენ გურულები თავიანთ შვილებს.

ტვირთბრუნვის გამზიდაობამ შეკვეთილის პორტის საშუალებით საფუძველი შეუქმნა ოზურგეთის როგორც ქალაქის სავაჭრო-ეკონომიურ დაწინაურებას, რაც ფაქტიურად XIX საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს და მკვეთრად იზრდება ამავე საუკუნის 40-იანი წლებიდან მოკიდებული.

1845 წლისათვის ოზურგეთის მაზრაში ცხოვრობდა 499 ხელოსანი, აქედან მარტო ოზურგეთში 102 ხელოსანი. მათ მიერ გამომუშავებული სასაქონლო პროდუქცია 3700 მანეთს შეადგენდა.

დასახელებულ 499 ხელოსანთაგან აღსანიშნავია:

მეტყავეები,
მჭედლები,
დურგლები,
რკინისა და
სპილენძის ოსტატები,
მექვაბეები,
ზეინკლები,
ფეიქრები,
ვერცხლისა
და ოქროს ოსტატები.

ორმოცდაათიან წლებში ხელოსანთა რიცხვი საკმაოდ გაზრდილია 1859 წლისათვის მართო ოზურგეთში აღრიცხულია:

41 დურგალი და 43 მჭედელი. მრავლად შეინიშნებიან ქალაქის სინამდვილეში ამქრულ ორგანიზაციაში გაერთიანებული მეპურენი და სპილენძის ოსტატები.

1862 წლისათვის ოზურგეთში თავიანთ საქმიანობას ასახიერებენ,

მეპურე –10;
მებულკე – 8;
ყასაბი – 10,
მკერავი – 7;
ფეხსაცმლის მკერავი – 8;
მეღუმელე – 12;
დურგალი – 6;
მესპილენძე –24;
სხვადასხვა სახისა – 17.

ენვერ გოგუაძე

ფირალი

გაბრიელ დოლიძე

ოცი წლის გავხდი ფირალი
დრო არის ამის ბრალია,
ვიბრძოდი ქართველთ წესითა,
არ მრჩება ქვეყნის ვალია.
ბატონი აღარ ღრინავდა,
ახლახან მოეღო ბოლო,
მაგრამ ხორცმეტებს რა დალევს,
პრისტავიც კმარა მხოლოდ.
პირველად იმ ტყეს ვესტუმრე,
წყავისშტოს რომ ამშვენებს,
რაც მე იმ ღამეს ვიხილე,
ვინ აღწერს ყველა იმ სცენას.
ერთ მყუდრო ადგილს მივაგენ,
სხვას რას მოვახმარ ღონესა,
მთვარემ რომ შეივახშამა,
მგლების ყმუილიც მომესმა.
თოფი და ფიშტო კი მქონდა,
მაგრამ ხის წვეროს მივენდე,
უცებ მგლის ხროვა მოლაგდა,
ჩემს შეჭმას რომ მოელოდნენ.
ვერ მოვისვენე, ვესროლე,
უცებ ვიმსხვერპლე ერთიო,
მას დაერივნენ თვისტომნი,
მე კი დავლოცე ღმერთიო.
მერე სხვა ტყეებს მივმართე,
ერთხელ ვეწვიე შავსაცა,
იქაც გადვურჩი მგლის ხროვას,
უფლის დიდებაც შევიცან.
ვინ მოთვლის, რამდენ მოხელეს,
დღე დავუღამე თოფითა,
მე უბედურმა ნაყმევმს,
გამწარებული ყოფითა.
უფალმა ქადეიშვილსა
დამაკავშირა ლხენითა,
მისი გული და სიმარჯვე,
ძნელად თუ ითქმის ენითა.
ბათუმის მატარებელსა,
ჩვენ ჩამოვხსენით ვაგონი,
მანამდე ქვეყნად სად იყო,
კაცი, ამისა გამგონი.
ვიბრძოლე ნასაკირალზეც,
ხელში მეჭირა ბერდენა,
მძიმედ დავიჭერ და უცებ
წამერთვა აზრი და ენა.
ასე მივადექ გრძელ სოფელს,
სამარადისო სავანეს,
მადლობას ვწირავ უფალსა
და ყოვლად წმინდა ივანეს.

მთქმელი **ეგვიხო სიხარულიძე-გოგოლაძის**
სოფელ გოგოლესუბანი
(ზემო გურია)
ჩაიწერა პროფ.
ი. სიხარულიძემ

„ბახვი“ მესამე იყო

ალიონი. ქ. თბილისში ჩატარდა თანამეგობრობის ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდნენ „ვინერსი,“ „ფორვარდი,“ „ოპიზა,“ „სამგორი“და ოზურგეთის „ბახვი.“ თითოეული 2-2 გუნდით იყო წარმოდგენილი.

დაძაბაულ ტურნირში ბახველმა ფეხბურთელებმა მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავეს (მწვრთნელები: თორნიკე წულაძე, გოჩა კრასოტკინი, თენგიზ ღლონტი).

ტურნირის ორგანიზატორები იყო საფეხბურთო კლუბი „ვინერსი“ (გიორგი კალანდაძე, გიორგი ყაჭეიშვილი).

ოზურგეთიდან სამადლობელი ეკუთვნით ნატანების, ძიმითის, ლაითურის, ბოხვაურის, დვაბზუს სპორტის სპეციალისტებს და მწვრთნელებს, - გვითხრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აიპის წარმომადგენელმა გოჩა კრასოტკინმა.

იყიდება შეშა
შეღავათიან ფასებში
დაგვიკავშირდით
551 57 60 60

მთისპირელი ნინო სარიშვილი „ეტალონის“ გამარჯვებული გახდა

ალიონი. რეგიონის ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის, მთისპირის საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე ნინო სარიშვილი ეროვნულ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის“ შესარჩევი ტურის გამარჯვებული გახდა და გაზაფხულზე, ქ. თბილისში ინტელექტ-ჩემპიონატის ფინალში ოზურგეთს წარადგენს.

ნინოს სოფელ ლიხაურში „ექვთიმეობის“ დღესაწაულზე შევხდით და წარმატება მივულოცეთ. მან თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა.

– ძალიან მიყვარს კითხვა. სახლში ბევრი კითხვარები მაქვს და ხშირად ვავსებ. სკოლაშიც კარგად ვსწავლობ. როცა მარინა მასწავლებელმა (ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარინა ძავაშვილი), კლასში ტესტები შემოიტანა, ვიფიქრე, რომ მე კონკურსში აუცილებლად წარმატებას მივაღწევდი. სკოლაში 100 შესაძლებლობიდან 80 ქულა მოვაგროვე. ამას მოჰყვა ურეკის კულტურის სახლში გამართული ინტელექტ-ჩემპიონატი, რომელსაც გოჩა ტყეშელაშვილი უძღვებოდა. აქ მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა იყო წარმოდგენილი. დასრულდა თამაში და მე ყველაზე მეტი–73 ქულა მქონდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ მე გამარჯვებული ვიყავი. ამას მოყვა დაჯილდოების ცერემონიალი, გოჩა ტყეშელაშვილის თბილი სიტყვები, ბატონ მერაბ ჭანუყვაძის და დავით დარჩიას გულწრფელი მოლოცვები და ბატონი მერაბის მიერ გადმოცემული ჯილდო –500 ლარი. ახლა თბილისში მონაწილეობისთვის ვემზადები – გვითხრა ნინო სარიშვილმა.

„ექვთიმეობაზე“ მთისპირელთა პავილიონში მერაბ ჭანუყვაძე მივიდა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა ნინო სარიშვილის წარმატების შესახებ და თბილისში წარმატებული გამოსვლის შემთხვევაში ნინოს სიურპრიზს შეჰპირდა. თუ რა იქნება სიურპრიზი, ეს მთიპირელი გოგონას ახალი წარმატების შემთხვევაში გახდება ცნობილი.

ქირავდება!

ოზურგეთში, ნიკო ნიკოლაძის (ყოფილი სტახანოვის) №2-ში ქირავდება ორსართულიანი შენობა, საწყობით. მოწყობილი ინფრასტრუქტურითა და ყველა საჭირო ინვენტარით. ფართი გამოდგება მაღაზიისა და ოფისისთვის.

საკონტაქტო ტელ: 599 26 78 78
ფასი შეთანხმებით.

(ღ)

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

(რ)

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

30 ოქტომბერი – შენი ხმა იგებს!

ძვირფასო ამომრჩეველო!

მადლობას გიხდით არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობისათვის. წინ მეორე, გადამწყვეტი ტურია. კიდევ ერთხელ დავდგეთ ერთად და დაწყებული ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ – ერთად გადავდგათ საბოლოო წარმატებამდე დარჩენილი ერთი ნაბიჯი!

თითოეული თქვენგანის ხმა გადამწყვეტია – თქვენ ქმნით საქართველოს მომავალს!

ვაქციოთ 30 ოქტომბერი ერთიანი, დიდი გამარჯვების დღედ!

30 ოქტომბერს
შენი ხმა იგებს!

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +8+15	ღრუბელი +8+16	მცირე წვიმა +6+12	მცირე წვიმა +4+9	მცირე წვიმა +1+7	მცირე წვიმა +2+6	მცირე წვიმა +1+7
27 ოქტომბერი ხუთშაბათი	28 ოქტომბერი პარასკევი	29 ოქტომბერი შაბათი	30 ოქტომბერი კვირა	31 ოქტომბერი ორშაბათი	1 ნოემბერი სამშაბათი	2 ნოემბერი ოთხშაბათი